IX ბ კლასის სადამრიგებლოს წლიური ანგარიში

ჩემი კლასსაათები მიზნად ისახავს :

<u>მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარებას, როგორიცაა: პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, ძიების, დოკუმენტირების, ინტერვიუს აღების , მკვლევარის, შემოქმედებითი, ჯგუფური მუშაობის, აუდიტორიის მართვის.</u>

კლასსაათების ამოცანები

- თინეიჯერებისთვის საინტერესო საკითხების დამუშავება და სხვადასხვა სასწავლო აქტივობით აუდიტორიისთვის(კლასი) მიწოდება ;
- კლასის თითოეული მოსწავლის გააქტიურება;
- მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა;
- საკუთარი აზრების გაზიარების სისტემატიზირება;
- სადამრიგებლო საათების პოპულარიზაცია.
- მოსწავლეების მომზადება მომავალი გამოწვევების დასაძლევად.

IXბ *კლასში სადამრიგებლო კლასსაათების ჩატრება წლების განმავლობაში ყოველკვირას აქტიურად მიმდინარეობდა, შეხვედრების რეფლექსიებს მოსწავლეები ჯგუფებში ხან ვიდეორგოლის , ხან კიდევ კედლის გაზეთის სახით ახორციელებდნენ. კლასსაათების ჩატრება ახალ მიდგომას საჭიროებდა, რათა მომხდარიყო საჭირო საკითხების აქტუალიზაცია. ამ მიზნით შევქმენი პროექტი „თანაგანმანათებელი“ და სადარიგებლო საათეების თემატიკა ჩაიშალა სხვადასხვა აქტივობებად. მე მოვირგე დამხმარე მეგობრისა და კორდინატორის როლი , სადამრიგებლო საათს კი ატარებდა უმეტესწილად მოსწავლეები,დამრიგებელიც დროგამოშვებით, ან კომპეტენტური მშობლები. სწორედ ამიტომ დაერქვა პროექტს „თანაგანმნთლებელი“ .*

სადამრიგებლო საათები შემდეგ თემებზე განხორციელდა:

თემა:#1 ***„თვითშეცნობა და აზრთა გაზიარება სასწავლო პროცესის წარმატებისთვის.“***

მიზანი: მოსწავლეებთა შორის ურთიერთობის გაახლება და სასწავლო პროცესთან ადაპტაციის ხელშეწყობა , კლასის მენეჯმენტის ორგანიზება (ორგანიზატორი. მორიგეობა, საკლასო წესდების შედგენა თავისი დისციპლინური სახდელებით)

შედეგი: მოსწავლეები აქტივობებითს დაეხმარება ახალ სასწავლო წელთან ადაპტირდებიან; ჩამოყალიბებული ექნებათ კლასის მენეჯმენტი და სასწავლო პროცესს დაიწყებენ მოტივირებულნი.

#თემა 2 “როგორ ვსწავლობთ, როგორ ვისწავლოთ უკეთ”
#მიზანი: სწავლების სხვადასხვა მეთოდების განსაზღვრა;
მოსწავლეებისთვის სწავლების მარტივი მეთოდების მიწოდება.

ვისაუბრეთ სწავლის სტილზე კლასში, ვიმსჯელეთ მარტივ ხერხებსა და მიდგომებზე. როგორც ყოველთვის საინტერესო იდეები უხვად მივაწოდეთ ერთმანეთს. მოსწავლეებმა ჯგუფებში იმსჯელეს საკუთარი სწავლის სტილზე , შემდეგ კი გააკეთეს წარდგენა.

მოსწავლეებს შევთავაზე მასალის დასწავლის ანუ მეტაშემეცნების სხვადასხვა სტილი: რითმა, გამონათქვამები, დამახსოვრების სქემები, აკრონიმები...
დამრიგებელი ესაუბრა მათ თუ რას ნიშნავდა მირებული ინფორმაციის ჩაქრობა, დამახინჯება,განდევნა.

საბოლოოდ სწავლის სტილი: ვიზუალური, აუდიალური,კინესთეტიკური განიხილეს და მოარგეს საკუთარ სტილს.

თემა 3: პროფესია- მასწავლებელი

მიზანი: პროფესია „მასწავლებელის“ პოპულარიზაცია; მასწავლებელთა პროფესიული დღის მილოცვა;მასწავლებელთა მხარდაჭერა და მათი ღვაწლის დაფასება.

აქტივობა შემდეგი გეგმით განხორციელდა:

1. მოკლე თხზულება პროფესია მასწავლებელზე. (უნდა მოიცავდეს პასუხს თუ რას ნიშნავს მოსწავლეებისთვის მასწავლებელი და რა როლი აქვთ მათ მოსწავლეების ცხოვრებაზე.

2. მასწავლებლებისთვის მოკლე მისალოცი ტექსტების შექმნა.

3. კითხვების მომზადება მასწავლებლებთან ინტერვიუს ჩასაწერად .

4. პროექტის პასუხისმგებელი პირების შერჩევა: მათ დაევალება ზემოთ აღნიშნული მასალის შეგროვება და ვიდეო-რეპორტაჟისთვის სცენარის შექმნა.

5.ინტერვიუს ჩაწერა მასწავლებლებთან.

6.მოსწავლეების მისალოცის სიტყვების ჩაწერა.

7. შემაჯამებელი, მისალოცი ვიდეო-რეპორტაჟის შექმნა.

თემა:4 თვითაღზრდა, თვითგანვითარება.

მიზანი: **საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პოზიტიური თვისებების გაცნობიერება, თვითგანვითარების სტრატეგიების გაცნობა.**

თემის განხილვა დაიწყო ცნებების „თვითაღზრდა’ და „თვითგანვითარება“ განსაზღვრებით. განვიხილეთ თუ რამდენად ხანგძლივი პროცესი იყო თვითაღზრდა,რომელიც საბოლოოდ გვაყალიბებდა ადამიანდებად, ხოლო თვითგანვითარება ჩვენი უნარებისა და შესაძლებლობების წინსვლაზე იყო ორიენტირებული.

მეორე ეტაპი შეექმნათ მათვის უკვე აღზრდილი და განვითარებული ადამიანის რობოტი, რიგი თვისებებით.

მესამე ეტაპზე მათ მიერ წარმოდგენილ „იდეალ რობოტთან“ იმ სიშორით უნდა დამდგარიყვნენ , რამდენადაც განსხვავდებოდნენ მისგან,

საბოლოოდ კი საკუთარ იდეალთან მისასვლელად საჭირო გზების დასახელება! საინტერესო იყო თითოეულის გულწრფელი აღიარება იმისა, თუ რა აკლდათ და რა სჭირდებოდათ გამხდარიყვნენ იმ იდეალის მსგავსნი, როგორიც დახატეს მიცემულ დავალებაში❣️

ეს აქტივობა დაეხმარა მოსწავლეებს სწორი მიზნების კონსტრუირებაში და მასთან მისასვლელი გზების ძიებაში.





თემა5:ვინ ვარ მე? საკუთარი თავის შეცნობასა და ამოცნობაში გატარბული 40 წუთი, როცა თემის პრეზენტატორები ლაშა ხაჯიშვილი და დაჩი აბესლამიძე კლასის თითოეული წევრის ჩართულობას შეეცადა, პოზიტიური ზედსართავი სახელებით ახასითებდნენ ჯერ საკუთარ თავს, შემდეგ ერთმანეთს. სასიამოვნო შეხვედრა შედგა, გამოიყენეს აქტივობა „ხმამაღლა ფიქრი.“

თემა 6.კულტურული განვითარება

სტუმრად #ხელოვნებისცენტრში #სპეკტაკლი #ფურინჯი

ფურინჯი მეგრული სიტყვაა და ფრენასთან ასოცირედება. სპექტაკლი, ერთი სევდიანი თოჯინისა და მსახიობების საშუალებით გვიყვება ამბავს სიყვარულზე, ჰუმანურობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რომლის მეორე მხარეს დგას ომი და ომის დაუნდობელი სისასტიკე. სამი პერსონაჟის ცხოვრება აფხაზეთის ომამდე, ომის შემდგომ ცხოვრებაზე და მშვიდობის აუცილებლობაზე, არის სწორედ ამ სპექტაკლის იდეა. სპეკტაკლი თითქოს მარტივად , მაგრამ საკმაოდ ღრმად გადმოგვცემს სათქმელს.სპეკტაკლის შემდეგ კლასი შეიკრიბა და ვიმსჯელეთ ომით გამოწვეულ

პრობლემებსა და უბედურებაზე.

❣ **თემა7.** ჩვენს კლასსაათზე თემა “სიყვარული” გაჟღერდა ჩვენში, სიყვარულის საჭიროებაზე, მისი გამოხატვის აუცილებლობასა და მრავალმხრივობაზე საკმაოდ საინტერესოდ ვიმსჯელეთ. თემა მოამზადა ყველაზე ციმციმათვალებიანმა, სიყვარულის გოგონებმა იზი სარაბიძემ და მარიამ ღლონტმა .ვიყოთ მოსიყვარულე შვილები, მოსწავლეები, მასწავლებლები, დედიკოები, მეგობრები... გვიყვარდეს ბევრი, ბევრჯერ და ბევრად...

შეხვედრა #8

შეხვედრის თემა “ჩემი მიზანი” . თემა საინტერესოდ წარიმართა შეხვედრა, თითოეულმა მოსწავლემ იმსჯელა საკუთარ მიზანზე, აქტივობა “წარმატების კიბე” ნათლად ასახავდა მიზნის რომელ საფეხურზე იმყოფებოდნენ ისინი და რა იყო საჭირო მიზნის განხორციელებისთვის. რამდენად მიღწევადი იყო თითოეულის ამბიცია, რამდენად შრომატევადი და საბოლოო შედეგი რამდენად სასარგებლო ინდივიდისთვის. საბოლოოდ ტრადიციულად შეფასდა შეხვედრა. პრეზენტატორებს გავუკეთეთ სამოტივაციო კომენტარები და მივეცით საჭირო რჩევები.



შეხვედრა# 9

მომავალი პროფესიის სწორად განსასაზღვრად საკმაოდ საინტერესო აქტივობა შემოგვთავაზეს პრეზენტატორებმა, ინტერესის ტესტი თავისივე ტესტის გასაღებით. თითოეულმა მოსწავლემ იპოვა კავშირი ინტერესსა და სასურველ პროფესიასთან.

#შეხვედრა 10

საექსკურსიო შინაარსიანი დღეები იმერეთში კლასსაათზე დაიგეგმა, შემდეგ ეტაპებად გაიშალა.

1-კლასსაათზე მოწვეული სტუმარი მშობელი-ნატალი აბუსელიზე და საინტერესოდ განხილული დავით კლდიაშვილის ცხოვრება , "სამანიშვილის დედინაცვალი".

2- საინტერესო და მამოტივირებელი , ბავშვების შექმნილი საოცარი ვიდეო პროექტი "პრომეთეს მღვიმე".

3-დავით კლდიაშვილის სახლმუზეუმში სტუმრობა.

3-პრომეთეს მღვიმეს დათვალიერება.

4-მწვადის შეწვის მასტერკლასები.

5-სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი ურთიერთობები.

შეხვედრა #11 კულტურული განვითარება „ჰელადოსი“

ამჯერად კლასსაათის ხელმძღვანელობა ძალიან გონიერ და გამორჩეულად ნიჭიერ ვაჟიკო ჯაფარიძეს დაევალა. საჭირო და მნიშვნელოვანი საკითხები წამოაყენა მან, საინტერესოდ წარმართა შეხვედრა, ხაზი გაუსვა შემდეგ თემებს: ✅უფროს-უმცროსის დამოკიდებულება დღეს და მაშინ; ✅გარემოს ზეგავლენა მოზარდზე; ✅ ვაჟკაცობის არსი; ✅სამშობლოს სიყვარულის რაობა. მოსწავლეები საუბრობდნენ და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ ნააზრევს, ბოლოს კი საყვარელი ფრაზები პოსტერზე გადაიტანეს. დღეს კი შემაჯამებელი საღამო დიდი ემოციებით, სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დასრულდა. დრამატულ თეატრში დავესწარით სპეკტაკლს “ჰელადოსი,”საუკეთესო შესრულებას.

შეხვედრა 12

თემა “გენდერული როლები” საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. სწორად მოაზროვნე ახალმა თაობამ ნათლად განმარტა ტერმინების “გენდერი” და “ სქესი” -ს რადიკალური განსხვავება, განიხილა ქალისა და მამაკაცისთვის სასურველი ეპითეტები, დაასახელეს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული “სტერეოტიპული პროფესიები” და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროფესიას უნარი განსაზღვრავს და არა სქესი.

შეხვედრა 13

საახალწლო აქტივობებით დატვირთული დეკემბერი მე-9 ბ კლასში. ასაკის მატება უმოქმედობას არ ნიშნავს, პირიქით მეტი უნარი და მეტი შესაძლებლობებია🎉

მოსწავლეებს დაევალათ შეექმნათ კრეატიული საახალწლო სუვენირი , მოეწყოთ კლასი და დაემუსავებინათ ერთი საახალწლო სიმღერა. ყოველე ეს ხელს შეუწყობს მათი შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ლამაზად მორთული გარემო და საოცარი ხელნაკეთი სუვენირები ამშვენებდა საკლასო ოთახს.

შეხვედრა# 14

ჩვენი დეკემბრის თვის საახალწლო პროექტის, შემაჯამებელი აქტივობა - “ნიღბების წვეულება”. გამორჩეული ვიზუალით, ორიგინალური ნიღბებით, ელეგანტური ბაბთებითა და ამაღლებული განწყობით. დღე, ე.წ. ბევრი თინეიჯერული სტერეოტიპების მსხვრევისა, ურთიერთობების გაღრმავებისა და სილამაზის

სიყვარულისა🎉მრავალ ახალ წელს, ახალი ენერგიითა და ახალი შემართებით🎉, ამ



Diana Siranashvili and 3 others

Like Comment Share

Natia Gogitidze and Xatuna Losaberidze

დევიზითდაიწყო 2023 წელი.

შეხვედრა# 15

„საქართველოო ლამაზო სხვა საქართველო სად არი“

ღონისძიება სათაურად “საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?!” მიზნად ისახავს :

✅ მოსწავლეებში პატრიოტიზმის გრძნობის გაღვივებას.

✅ საქართველოს ეროვნული კულტურის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციული სამოსის, სიმღერის, ცეკვის, პოეზიის პოპულარიზაციას:

✅ თითოეულ მოსწავლეში არსებული კომპლექსების გაცნობიერებას და აღმოფხვრას.

✅ სცენის კულტურის განვითარების ხელშეწყობას;

✅ საჯარო გამოსვლის უნარის გაუმჯობესება.

დასახული მიზნები კარგ შედეგზე გავიდა, თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალურად დამუშავდა წარსადგენი სიტყვა, რეპეტიციები დაეხმარა მოსწავლეებს დაეძლიათ კომპლექსები, თითოეული მოსწავლე დღეს ამაყია ღონისძიებაში მონაწილეობით, სხვადასხვა სიტუაციებში იყენებენ ღონისძიებაზე ათვისებულ ლექსებსა და სიმღერებს.

შეხვედრა# 16 საექსკურსიო მზადება

ექსკურსიის მიზანი იყო მოსწავლეებმა უფრო მეტი გაეგო, მეტი ინორმაცია მიეღო მდიდარი კულტურული ძეგლებითა და მრავალფეროვანი ბუნებით გამორჩეული, დიდი ისტორიის მქონე საქართველოს ულამაზესი კუთხეების -იმერეთისა და რაჭის შესახებ, დაეთვალიერებინა ამ კუთხეების ღირსშესანიშნაობები: კაცხის სვეტი, მღვიმევის მონასტერი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი, ნიკორწმინდა, ამბროლაური, ბარაკონი.

მოსწავლეებს მიეცათ დავალებები დასათვალიერებელ ღირსშესანიშნავ ადგილებთან დაკავშირებით. ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს უნდა გაეკეთებინათ პრეზენტაციები ვიდეო რგოლისა და ფლაიერების სახით. მიცემული დავალებები წარუდგინეს ერთმანეთს, ექსკურსიაზე წასვლამდე მოსწავლეებმა იმსჯელა ძალიან მოკლედ სწორედ იმ კულტურულ ძეგლებზე რისი ნახვაც სულ მალე მოუწევდათ.

ექსკურსია იყო საინტერესო და შინაარსიანი.

ჩემი აზრით აუცილებელია ამ ასაკის ბავშვების მუდმივი აქტიურობა საგანმანათლებლო პროცესებში, ხოლო ეს პროექტი ზემოთაღნიშნულ უნარებს განავითარებს მოსწავლეებში და არ მისცემს კლასს მოდუნების საშუალებას, მშობელთა ჩართულობა კი კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მისცემს კლასს.

მიზნის მიღწევისთვის საჭირო აქტივობები

1. თემის წარმდგენი ჯგუფის ან წყვილის შექნა კლასის მოსწავლეების ბაზაზე.
2. თემების შესაბამისი სხვადასხვა ეფექტური მეთოდების დამუშავება, როგორიცაა: „ხმამაღლა ფიქრი“, „ურთიერსწავლების მეთოდი“, „სიტყვების გამომძიებელი“. ასევე კოგნიტური სქემების გამოყენება: „“ვენის დიაგრამა“ , კორნელის სქემა“, „დიაგრამა“. ინტერვიუს ჩატარება, მინი კვლევა, გასვლითი რონისძიებების ორგანიზება-ოსწავლეთა თვალსაწიერის გაზრდის მიზნით.

IXბ კლასის დამრიგებელი ია ბლაგიძე
2022-2023 წელი.